



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 36 23

განკარგულება

27/02/2020

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2020 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 26 თებერვლის N31/1022 წერილი, რომლითაც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2020 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვასა და მოწონებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. მოწონებულ იქნეს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2020 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები წარმოდგენილი დანართის მიხედვით.
2. შერჩეული საპროექტო წინადადებები ინიცირების სახით წარედგინოს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულებაში იქნება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქუთაისი, კუპრადის ქუჩა №11).

პაატა ახალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



**2020 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რგ(პ) ფონდის მიერ დასაფინანსებელი
ინფრასტრუქტურული პროექტები**

| # | პროექტის დასახელება | პროექტის სრული ღირებულება საპროექტო დოკუმენტ- ღირ. გარეშე | მ.შ.მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა | მ. შ. ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება (5%) | პროექტის განხორციელების ვადები | შენიშვნა |
|---|---|---|--|---|--------------------------------|---|
| 1 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ზედა მესხეთში გამსახურდიას ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | 647,159 | 614,801 | 32,358 | 2020 წლის მარტი აგვისტო | პროექტი მზად არის. ექსპერტიზა გავლილი აქვს მომზადებულია დადებითი დასკვნა. |
| 2 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიში ბობოხიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | 162,329 | 154,213 | 8,116 | 2020წლის მარტი აგვისტო | პროექტი მზად არის. ექსპერტიზა გავლილი აქვს მომზადებულია დადებითი დასკვნა. |
| 3 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში(მე-2 უბანი) I, II, III, IV უბნების გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. | 673,918 | 640,222 | 33,696 | 2020წლის მარტი აგვისტო | პროექტი მზად არის. ექსპერტიზა გავლილი აქვს მომზადებულია დადებითი დასკვნა. |
| 4 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ წყალტუბოში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. | 423,530 | 402,354 | 21,177 | 2020წლის მარტი აგვისტო | პროექტი მზად არის. ექსპერტიზა გავლილი აქვს მომზადებულია დადებითი დასკვნა. |
| 5 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმისთავში, სვანიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. | 298,938 | 283,991 | 14,947 | 2020წლის მარტი აგვისტო | პროექტი მზად არის. ექსპერტიზა გავლილი აქვს მომზადებულია დადებითი დასკვნა. |
| 6 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურში, ჩირგაძეების გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. | 143,250 | 136,088 | 7,163 | 2020წლის მარტი აგვისტო | პროექტი მზად არის. ექსპერტიზა გავლილი აქვს მომზადებულია დადებითი დასკვნა. |

| | | | | | | |
|---|---|-----------|-----------|---------|-------------------------|---|
| 7 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში, გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. | 1,099,193 | 1,044,233 | 54,960 | 2020 წლის მარტი აგვისტო | პროექტი მზად არის. ექსპერტიზა გავლილი აქვს მომზადებულია დადებითი დასკვნა. |
| 8 | ქალაქ წყალტუბოში სამაკაშვილის ქ.მე 2 ჩიხში გზას რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | 49,359 | 46,891 | 2,468 | 2020 წლის მარტი აგვისტო | პროექტი მზად არის. ექსპერტიზა გავლილი აქვს მომზადებულია დადებითი დასკვნა. |
| 9 | ქალაქ წყალტუბოში სამაკაშვილის ქ. 3 საცხოვრებელ სახლთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია რეაბილიტაცია გზის ბეტონის საფარით | 64,232 | 61,020 | 3,212 | 2020 წლის მარტი აგვისტო | პროექტი მზად არის. ექსპერტიზა გავლილი აქვს მომზადებულია დადებითი დასკვნა. |
| | ჯამი | 3,561,908 | 3,383,813 | 178,095 | | |

პაატა ახალაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო